

0111 განათლების მეცნიერება EDUCATION SCIENCE

დაცვის ხაზის მოთამაშეები და პრესინგის როლი თანამედროვე ფეხბურთში

თამაზ ჯაში

საქართველოს სპორტის უნივერსიტეტი

E-mail: tamaz.jashi@sportuni.ge

რეფერატი

დღევანდელ ფეხბურთში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავდამსხმელების მოქმედებას შეტევაში და კარში ზუსტ დარტყმას, რომელიც წარმოადგენს შეტევის და კომბინაციის დაგვირგვინებას. ასევე უნდა გვესმოდეს, რომ კარში დარტყმების რაოდენობას ყოველთვის არა აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა საბოლოო შედეგის მისაღწევად. ცნობილია, რომ გუნდის შედეგიანობისა და გამარჯვების მიღწევისათვის პირველ რიგში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თამაშის ეფექტურობას.

საკვნძო სიტყვები: დაცვის ხაზი, მცველი, პრესინგი, ზონური დაცვა, პერსონალური მეურვეობა, ბურთის დაუფლება, ტაქტიკური მოქმედება, ტექნიკა, შეტევა, გადაცემა, სივრცის შეზღუდვა, კონცენტრაცია, ბურთის წართმევა, სწრაფი გარბენი.

შესავალი

თანამედროვე ფეხბურთი სწრაფი ტემპით ვითარდება და მოითხოვს ახალ სტანდარტებს როგორც გუნდური სტრატეგიის, ასევე ინდივიდუალური სათამაშო უნარების მხრივ. განსაკუთრებით გამოიკვეთა დაცვის ხაზის მოთამაშეების როლის ტრანსფორმაცია - თუ წარსულში მათი მირითადი ფუნქცია მოწინააღმდეგის შეტევის ჩამოაზე იყო ორიენტირებული, დღეს მათ თავდაცვით ამოცანებთან ერთად შეტევით ფაზაშიც მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ. ამის პარალელურად, ტაქტიკურმა მიღვიმებმა, როგორებიცაა პრესინგი და მისი სხვადასხვა ფორმები, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა თანამედროვე საფეხბურთო თამაშით. სტატიაში მიზნად ვისახავთ დაცვის ხაზის მოთამაშეთა ფუნქციური წონისა და პრესინგის მნიშვნელობის გამუქებას თანამედროვე ფეხბურთის კონტექსტში.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე ფეხბურთში მცველების მოვალეობანი და მათი მოქმედებების დიაპაზონი გაფართოვდა. თუკი ადრე მცველის ძირითადი ამოცანა მოწინააღმდეგის შეტევის ჩამლა იყო, ამჟამად დაცვაში კარგ თამაშს საკუთარი გუნდის შეტევებში აქტიური ჩართვა და მისი სხვადასხვა ფაზაში მონაწილეობაც დაემატა. დიდი მოცულობის სამუშაოს და მრავალფროვანი ტაქტიკური მოქმედებების შესრულების აუცილებლობამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა მცველთა ათლეტური მომზადების როლი. ძალის, გამძლეობის, სისწრაფის, მოქნილობის, მხტომელობის, სათანადო სასტარტო სიჩქარის განვითარების მაღალი დონის გარეშე, თანამედროვე ფეხბურთში, სერიოზულ წარმატებაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელია. მოძრაობის კარგი კოორდინაცია, ტექნიკური ხერხების სრულყოფილად ფლობა, დაცვასა და შეტევაში პარტნიორებთან ურთიერთშეთანხმებული მოქმედებები მცველების მომზადების აუცილებელი პირობაა.

დაცვაში თამაშისას მცველებისთვის ძირითადი ტექნიკურ-ტაქტიკური მოთხოვნებია:

1. ზონაში გაზრდული მოქმედება;
2. მოწინააღმდეგის კართან მიახლოებისას მჭიდრო მეურვეობაზე გადასვლა;
3. მაღალი ბურთისთვის ბრძოლა;
4. პარტნიორებისა და აუცილებლობის შემთხვევაში, მეკარის დაზღვევა;
5. დროული მოქმედებები მოწინააღმდეგის გადაცემისა და დარტყმის გასანეიტრალებლად;

ფეხბურთელებს, რომლებიც დაცვის ცენტრალურ ზონაში მოქმედებენ, შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებული მისია აკისრიათ მათ უხდებათ საკუთარი კარის წინ, ყველაზე სახიფათო ზონაში, მოწინააღმდეგის მოქმედებათა განეიტრალება.

მცველი დარტყმუნებული უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში. იგი პატივს უნდა სცემდეს მოწინააღმდეგეს, მაგრამ არ უნდა ეშინოდეს მისი. დაცვის ცენტრში მოთამაშე მცველს უნდა შეეძლოს პერსონალური მეურვეობისა და დავალებით მოცემულ ზონაში თამაშისთვის დამახასიათებელი ტაქტიკური მოქმედებების შეთავსება. აქედან, პირველი და ძირითადი მოვალეობაა – მომაგრებული ფეხბურთელის მოქმედებათა კონტროლი და მეორე ზონაში თამაში.

დაცვაში მცველის მოვალეობაა, ხელი შეუშალოს მოწინააღმდეგეს თავისი ჩანაფიქრის განხორციელებაში. შეტევის დროს ბურთის დაუფლების შემდეგ მცველი სწრაფად მიიწევს წინ, ერთვება შეტევით მოქმედებაში ან ასრულებს გადაცემას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხაზის კოორდინირებულ მოქმედებას. ასევე მნიშვნელოვანია თამაში „ზონაში“, ურთიერთმოქმედება მეკარესთან და სხვა პარტნიორებთან.

მცველი კარგად უნდა აფასებდეს ტაქტიკურ პოზიციას. მან უნდა მოახერხოს, ამოიცნოს მოწინააღმდეგის ტაქტიკური სვლები, დაიკავოს პოზიცია დაცვაში ბურთის დასაუფლებლად და პარტნიორთა დასაზღვევად. დაზღვევის მნიშვნელობა დიდია და მას სათანადო ადგილი უკავია თანამედროვე ფეხბურთში.

შეტევის ორგანიზაციის დროს მცველების თამაში უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს. კერძოდ, უნდა შეეძლოს:

1. ბურთის დაუფლების შემდეგ, პარტნიორის მისამართით დროული და ზუსტი გადაცემის შესრულება;
2. ფლანგზე გახსნა, როცა ბურთს დაუფლება მეკარე ან პარტნიორი და მათგან გადაცემის მიღება;
3. მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელად შეტევაში ჩართვა.

თანამედროვე ფეხბურთში, როგორც უკვე აღვნიშნეთ მცველების თამაშმა ცვლილებები განიცადა. წინათ ისინი მოწინააღმდეგის მოედანზე იშვიათად გადადიოდნენ და თითქმის არანაირ მონაწილეობას არ იღებდნენ შეტევის დაწყების ორგანიზაციასა და უშუალოდ შეტევაში. ამჟამად, ბურთის უმისამართოდ მოგერიების მეთოდს მცველები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავნ, კერძოდ მაშინ, როდესაც მათ არც დრო და არც სათამამო სივრცე არ აძლევთ საშუალებას, ითამაშონ ზუსტად. თანამედროვე სტილის მცველები აქტიურად მონაწილეობენ როგორც შეტევის დაწყებაში, ასევე მის ორგანიზაციასა და შეტევის გადამწვეტ ფაზაში. მცველები ხშირად გადადიან წინ შეტევაზე როგორც ბურთით, ასევე უბურთოდ. შეტევაში ჩართული მცველის თამაში ეფექტურია, თუ იგი პოზიციას იკავებს პარტნიორის უკან ან გვერდით, მოულოდნელად სწრაფი გარბენით ან მანევრით ქმნის რიცხობრივ თანაფარდობას ან უპირატესობას მოწინააღმდეგის ნახევარზე ან კართან ახლოს.

მცველის აქტიური თამაშისთვის ასევე მნიშვნელოვანია შეტევაში ჩართული მცველის პოზიციის დროული დაზღვევა პარტნიორის მიერ. თუ კი მცველი, რომელიც შეტევაში მონაწილეობს, დარწმუნებულია, რომ ბურთის დაკარგვის შემთხვევაში მის ადგილს დროულად შევსებს პარტნიორი, იგი უფრო გაბედულად იმოქმედებს და წავა წინ. მცველების სათამამო მოქმედებანი ხშირად ჰგავს შუა ხაზის და თავდასხმისათვის დამახასიათებელ ტაქტიკურ მოქმედებებს. დაცვაში თამაშის დროს გამოიყენება დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი – პრესინგი.

პრესინგი - ნიშნავს ზეწოლას. პრესინგის მიზანია, მოწინააღმდეგეს შეუზღუდოს როგორც მოქმედების დიაპაზონი, ასევე სივრცე. პრესინგი ეფექტურია მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე, რომელიც ბურთს ფლობს და მცველი, ერთმანეთისგან დაშორებულია არა უმეტეს 1-1,5 მეტრისა, და მცველი საშუალებას არ აძლევს მეტოქეს, განაგრძოს მოძრაობა კარის მიმართულებით. ფეხბურთელს, რომელიც პრესინგს თამაშობს, უნდა ახსოვდეს, რომ მისი მიზანი და ამოცანაა, ყოველთვის იდგეს მოწინააღმდეგის ზურგს უკან, გრძნობდეს მის სუნთქვას, არ მისცეს საშუალება მოწინააღმდეგეს ბურთი გადაწოდოს წინ, თავის პარტნიორს შეტევის გასანვითარებლად.

ბურთის დაკარგვისთანავე, გუნდის ყველა ფეხბურთელი უნდა ეცადოს, სასწრაფოდ დაიბრუნოს ბურთი შეტევის ან კონტრშეტევის განსახორციელებლად, რათა არ დაიკარგოს ძვირფასი წუთები, მოწინააღმდეგეს არ მიეცეს საშუალება, თავისუფლად დამუშაოს ბურთი და დაუბრკოლებლად გადააწოდოს ის თავის პარტნიორს. დაგვიანებულ რეაციას მიეკავართ ერთი შეცდომიდან მეორემდე. პრესინგი უნდა გამოიყენონ ბურთის დაკარგვისთანავე, როდესაც ბურთი გადადის ერთი გუნდიდან მეორე გუნდის მფლობელობაში. შეცდომები ძირითადად უყურადღებობით არის გამოწევული. ეს კი, თავის მხრივ, აზროვნების კონცენტრაციის გაფანტვის შედეგია. ყურადღების კონცენტრაცია ის თვისებაა, რომელიც შესაძლებელია ფეხბურთელმა მხოლოდ და მხოლოდ ვარჯიშის დროს გამოიმუშაოს, განსაკუთრებით ორმხრივი თამაშისას.

იმისთვის, რომ აიძულონ მეტოქე, დაუშვას შეცდომა, წამყვანი გუნდები ხშირად იყენებენ პრესინგს მოწინააღმდეგის მოედანზე, რაც ხშირ შემთხვევაში, სასურველი შედეგის მომტანია. როდესაც გუნდი გაშლილია მთელ მინდორზე და მოთამაშებს შორის წარმოიქმნება ბევრი თავისუფალი ადგილი, პრესინგის გამოყენება ამ შემთხვევაში წაკლებად ეფექტურია.

პრესინგის წარმატებით გამოყენების მიზნით, გუნდი თავს უნდა არიდებდეს მოთამაშეთა „განთხესვას“ ანუ ერთმანეთისგან შორეული პოზიციის დაკავებას, ცდილობდეს, შექმნას მინდორზე მოთამაშეთა კომპაქტური განლაგება. კომპაქტური განლაგება შეიძლება გაკეთდეს სამ შემთხვევაში:

1. როდესაც თავდამსხმელები ბურთის დაკარგვისთანავე დაუყოვნებლივ დაიწყებენ თამაშს დაკარგული ბურთის დასაბრუნებლად, ე.ი. გამოიყენებენ პრესინგს მცველების წინააღმდეგ, მათსავე ნახევარზე;
2. როდესაც დაცვისა და ნახევარდაცვის მოთამაშები სწრაფად გადადიან წინ გაგზავნილ ბურთთან ერთად და იწყებენ მოწინააღმდეგებს გუნდის მოთამაშების ახლო მანძილზე „აყვანას“ და მათი მანვერირების კონტროლს.
3. როდესაც მოთამაშეები გადაინაცვლებენ მინდვრის გასწვრივ, იმ ზონაში, სადაც ბურთისთვის მიმდინარეობს ორთაბრძოლა, რათა მოწინააღმდეგებს არ მიეცეს გამოტანის საშუალება.

პრესინგს აქვს თავისი უპირატესობა და ნაკლი. უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ პრესინგი საშუალებას არ აძლევს მოწინააღმდეგებს, აკონტროლოს თამაშის ტემპი. ეფექტურია ნელი გუნდების წინააღმდეგ და ასევე გუნდის მიმართ, რომელსაც ცუდი ტექნიკა აქვს. ის ეფექტურია მატჩის ბოლოს, როდესაც გუნდი აგებს, რაც დემორალიზებას უკეთებს მოწინააღმდეგებს. ეფექტურია სტანდარტული კომბინაციის ჩაშლის მიზნით. პრესინგი ხელს უწყობს აგრესიულობას და რწმენას უნერგავს ფეხბურთელის. დაცვაში პრესინგის გამოყენება დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან. იგი ფეხბურთელისგან ითხოვს მაღალ, სპორტულ კოორდინაციას, სისტრაფესა და აგრესიულობას, მცველების დიდ შრომისუნარიანობას, ხანგრძლივ და მუჟაით ვარჯიშს. ვარჯიშის სირთულეც გამოიხატება იმაში, რომ შეუძლებელია ყოველდღიურ ვარჯიშზე პრესინგის დამუშავება. ასეთი ვარჯიშზე ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად გადამდლელია. ასევე გადამდლელია გუნდის მიერ ჩემპიონატში პრესინგის ხშირი გამოყენება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გრძელი სკამის საკითხი არ არის გადაჭრილი. პრესინგის დროს ხშირია ჯარიმები. პრესინგმა შეიძლება დააბნიოს ახალგაზრდა ფეხბურთელი.

საფეხბურთო პრაქტიკაში გამოიყენება ორი ტიპის პრესინგი – პერსონალური და ზონური. ერთიც და მეორეც გუნდმა შეიძლება გამოიყენოს როგორც მთელ მინდორზე, ასევე საკუთარი მინდვრის ნახევარზე ან მინდვრის რომელიმე გარკვეულ მონაკვეთზე. როდესაც პრესინგი გამოიყენება უშუალოდ კარის სიახლოეს, ეს უკვე პირადი მეურვეობას.

პირადი პრესინგის დროს თითოეული მცველი მიმაგრებულია კონკრეტულ თავდამსხმელთან. ამ შემთხვევაში მცველები უნდა ცდილობდნენ, თავდამსხმელები შეავიწროვონ რაც შეიძლება გვერდითი ხაზისკენ, რათა შეუზღუდონ მოქმედების დიაკზონი და გადაცემის შესაძლებლობა. მცველი ყველა საშუალებით უნდა ეცადოს, თავდამსხმელი არ გასცდეს მას. თუ თავდამსხმელი ზურგით დგას მოწინააღმდეგის კარის მიმართულებით, ამ შემთხვევაში მცველთან ახლოს მდგომ მოთამაშეს შეუძლია დაეხმაროს პარტნიორს. ორი მცველი ერთის წინააღმდეგ უფრო ადვილად შეძლებს ბურთის წართმევას, სანამ მოწინააღმდეგები შემობრუნდება და სწორ ორიენტაციას აიღებს მინდორზე. თუ თავდამსხმელი გაექცევა მცველს, იგი ვალდებულია, სწრაფად და დაუყოვნებლივ განაგრძოს ბურთისთვის ბრძოლა.

იმისთვის, რომ მცველმა გაიადვილოს თამაში და ეფექტურად იმოქმედოს პირადი პრესინგის დროს, საჭიროა მოქმედებდეს შემდეგნაირად:

1. მოწინააღმდეგებს, რომელიც ფლობს ბურთს, უნდა ეთამაშოს მჭიდროდ, ახლო მანძილზე;
 2. ყურადღებით იყოს, რათა არ გაექცეს მოწინააღმდეგებ;
 3. ბურთის წართმევის დროს შეინარჩუნოს წონასწორობა;
 4. რაც შეიძლება შეამჭიდროვოს მოწინააღმდეგებ ხაზის მიმართულებით;
 5. დაუყოვნებლივ, სწრაფად გადაერთოს თავისუფალ მოთამაშეზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი მეტოქე თავისუფლდება კარის სიახლოეს და მასზე დაზღვევას ვერავინ აკეთებს;
 6. არ მისცეს საშუალება მოწინააღმდეგებს, მიიღოს ბურთი;
 7. ყველა მცველს უნდა ახსოვდეს, რომ მიმაგრებულია თავდამსხმელზე ინდივიდუალურად, მაგრამ ამავე დროს გაუწიოს დახმარება პარტნიორს და ითამაშოს დაზღვევაზე.
- მირითადი მოთხოვნები მცველების მიმართ ზონური პრესინგის გამოყენების დროს არის შემდეგი:
1. მცველი იმ ზონაზე უნდა იყოს პასუხისმგებელი, სადაც იგი თამაშობს. მან უნდა ითამაშოს არა ფეხბურთელზე, არამედ ბურთზე;

2. მცველმა უნდა აიძულოს მოწინააღმდეგებე, ბურთი გადასცეს გვერდით ან უკან, რათა არ მისცეს საშუალება თავდამსხმელს წამოიწყოს მწვავე შეტევა;
3. ბურთი გაიტანოს სახიფათო ზონიდან რაც შეიძლება შორს, გვერდით ხაზთან ახლოს;
4. გამოიჩინოს აგრძესიულობა ბურთის „ჩაჭრის“ დროს;
5. მზად იყოს, მოწინააღმდეგებს წართვას ბურთი, როდესაც იგი გაჩერდება ან მობრუნდება საკუთარი კარის მიმართულებით;
6. ეცდოს, მოწინააღმდეგებს მინიმუმადე შეუმციროს ბურთის მიღების და დამუშავების დრო.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, თავდამსხმელის თამაშმა დიდი ევოლუცია განიცადა. იგი გაცილებით მრავალფეროვანი, რთული და საინტერესო გახდა. თავდამსხმელები თამაშობენ ყველა იმ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო პოზიციაში, საიდანაც უშუალოდ უნდა გაიტანონ ბურთი მოწინააღმდეგის კარში. თავდამსხმელები შეტევის დაწყების მიზნით უკან იხევნ საკუთარ კართან ახლოს და იქიდან იწყებენ შეტევას. ასევე მანევრირებენ ფლანგებზე იმისთვის, რომ თავდამსხმელმა წარმატებით მოუგოს ორთაბრძოლა მოწინააღმდეგებს, იგი თავისი ფიზიკური მონაცემებით არ უნდა ჩამორჩებოდეს მცველს და უნდა გააჩნდეს ექსტრემალურ სიტუაციაში სწრაფი ორიენტაციის უნარი.

თავდამსხმელს უნდა ახასიათებდეს აგრძესიულობა, შეტევის სტილი, ბრძოლისუნარიანობა და გააჩნდეს უნარი, თავისი ფსიქიკა მიმართოს უშუალოდ შეტევისკენ. საჯარიმო მოედანში შესული თავდამსხმელის გადაწყვეტილება, უპირველესად, უნდა იყოს კარში ბურთის დარტყმა, მეორე კი გადაცემა. თუ ფეხბურთელი პირიქით აკეთებს ამას, იგი არასოდეს იქნება აქტიური (აგრძესიული) შემტევი თავდამსხმელი კარის აღებისთვის ბრძოლაში. ამასთანავე, არ უნდა იყოს დაბრმავებული თავისი პარტნიორების მიმართ. ე.ი. მხოლოდ თვითონ კი არ უნდა ცდილობდეს ბურთის კარში დარტყმას, არამედ უნდა ეცადოს სხვასაც შეუქმნას ასეთი შესაძლებლობა.

ფეხბურთელი, რომელიც ხშირად დარბის ბურთით, მალე იღლება. თამაში ამ შემთხვევაში ნაკლებ ეფექტურია. ბურთის ტარება, მოტყუება ყველაზე სასარგებლოა მეტოქის დაცვის ზონაში. მიუხედავად იმისა, თუ როგორ ასრულებს დანარჩენ ტექნიკურ ილეთს, თავდამსხმელის მთავარ ღირსებად მაინც ბურთის გატანა რჩება.

დასკვნა

მცველების როლი თანამედროვე ფეხბურთში გასცდა მხოლოდ მექანიკურ დაცვას და გარდაიქმნა სტრატეგიულ ინსტრუმენტად როგორც შეტევის, ისე მთელი სათამაშო დინამიკის ფორმირებაში. მათგან მოითხოვება ტექნიკური სიზუსტე, ტაქტიკური ინტელექტი და ფიზიკური გამძლეობა, რაც მათ გადააქცევს გუნდის ბალანსის განმსაზღვრელ ბირთვად. პრესინგი კი, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები დაცვით-შემტევი ტაქტიკა, ქმნის პირობებს მოწინააღმდეგის დეზორინენტაციისა და ბურთის სწრაფი დაბრუნებისთვის. თუმცა, მისი წარმატებული გამოყენება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა მთელი გუნდი მოქმედებს სინქრონში, მაღალი კონცენტრაციითა და სათანადო ფიზიკური მზადებულით. საბოლოოდ, დაცვის ხაზისა და პრესინგის ეფექტური გამოყენება გარდამტებელ როლს ასრულებს თანამედროვე ფეხბურთში შედეგზე ორიენტირებული თამაშის წარმატებაში.

The Role of Defenders and Pressing in Contemporary Football

Tamaz Jashi

Abstract

In modern football, the responsibilities and range of actions of defenders have significantly expanded. Whereas previously the primary task of a defender was to “break up” the opponent’s attack, today solid defensive play also requires active involvement in their own team’s offensive efforts and participation in various phases of the attack. The necessity to perform high-volume work and execute a variety of tactical actions has further elevated the importance of pressing and defensive roles in contemporary football.

Keywords: Defensive line, defender, pressing, zonal defense, man-marking, ball possession, tactical movement, technique, attack, pass, space limitation, concentration, ball interception, quick run.